

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს  
2017 წლის 28 ივნისის №28 სხდომის მიერ  
გამოკითხვის წესით მიღებული

**d a d g e n i l e b a №1**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარუდგინა საკითხი სტუ-ის ნაერთ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სტუ-ის 2017 წლის დამტკიცებულ ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. ინფრასტრუქტურული პროექტებით გათვალისწინებული გეგმები (პროგრამული კოდი 32 05 02 03) 2017 წლის ბიუჯეტში ასახულ იქნა აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტიდან მოწოდებული ჩამორიცხული თანხებიდან დარჩენილი ფულადი სახსრების ნაშთები, ნაცვლად სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა“ და სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულებებით პროექტებისთვის გამოყოფილ სახსრებსა და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოებისათვის დახარჯულ თანხებს შორის სხვაობისა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინფრასტრუქტურულ პროექტებში, რომელთა დასრულების ვადა მოიცავს 2016-2017 წლებს, განსახორციელებელია ცვლილება, კერძოდ:

1.1. 2015 წლის 07 აგვისტოს №01/162-32 ხელშეკრულებით ქ. თბილისში სანდრო ეულის ქ. №5-ში მდებარე შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი იყო 8 145 824 ლარი, ფაქტიურად შესრულებულია 2 429 058 ლარის ღირებულების სამუშაოები, ანუ გეგმაში ასახვას ექვემდებარება 5 716 766 ლარი, ნაცვლად ასახული ფაქტიურად ჩამორიცხული თანხის ნაშთისა (14 689 ლარი) და გაიწეროს „არაფინანსური აქტივების“ ზრდის მუხლის „არასაცხოვრებელი შენობების“ პუნქტში;

1.2. 2015 წლის 17 დეკემბრის №01/162-149 ხელშეკრულებით ქ. თბილისში კახეთის გზატკეცილის №36-ში მდებარე შენობა-ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილი იყო 1 580 223 ლარი, ფაქტიურად შესრულებულია 54 719 ლარის ღირებულების სამუშაოები, ანუ გეგმაში ასახვას ექვემდებარება 1 325 504 ლარი, ნაცვლად

ასახული 1 009 461 ლარისა და გაიწეროს „არაფინანსური აქტივების“ ზრდის მუხლის „არასაცხოვრებელი შენობების“ პუნქტში;

1.3. 2015 წლის 17 დეკემბრის №01/162-147 ხელშეკრულებით სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლაბორატორიული აღჭურვილობის შესყიდვისათვის გათვალისწინებული იყო 872 774 ლარი, რომელიც მთლიანად ექვემდებარება 2017 წლის გეგმაში ასახვას, ნაცვლად გეგმაში ასახული ფაქტიურად ჩარიცხული 698 220 ლარისა და გაიწეროს „არაფინანსური აქტივების“ ზრდის მუხლის „სხვა მანქანა-დანადგარები, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ პუნქტში;

1.4. 2015 წლის 17 დეკემბრის №01/162-148 ხელშეკრულებით სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის IX კორპუსის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი იყო 2 492 017 ლარი, რომელიც სრულად ექვემდებარება ასახვას 2017 წლის გეგმაში, ნაცვლად ფაქტიურად ჩარიცხული 1 246 010 ლარისა და გაიწეროს „არაფინანსური აქტივების“ ზრდის მუხლის „არასაცხოვრებელი შენობების“ პუნქტში.

სულ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით“ გათვალისწინებული ღონისძიებების შემოსულობების გეგმაში დამატებით ასახვას ექვემდებარება 7 438 681 ლარი, შესაბამისად გაიზარდოს აღნიშნული პროგრამის გადასახდელები, საიდანაც 7 264 127 ლარი გაიწეროს „არაფინანსური აქტივების“ ზრდის მუხლის „არასაცხოვრებელი შენობების“ პუნქტში, ხოლო 174 554 ლარი – „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ პუნქტში;

2. სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ (პროგრამული კოდი 32 07 02 03) 2017 წლის ასიგნების ფარგლებში სსიპსაქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან 2017 წლის 23 იანვრის №32070203-02 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის“ გადასახდელებში და შესაბამისად ნაერთ ბიუჯეტში „მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების / დემონტაჟის ხარჯებიდან“ 30 985 ლარი გადატანილ იქნეს „არაფინანსური აქტივების“ ზრდის მუხლის „ელექტრომომწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების, ავეჯის შეძენის“ პუნქტში და განისაზღვროს 171 800 ლარით;

3. სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ (პროგრამული კოდი 32 07 02 03) სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან გაფორმებული 2017 წლის 12 აპრილის №32070203-05 ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში კახეთის გზატკეცილზე ქ. №36-ში მდებარე შენობის რეაბილიტაციას, გამოყოფილ იქნა 4 076 320 ლარი, საიდანაც 2017

წლისათვის დაფინანსების მოცულობა განისაზღვრება 1 700 000 ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წლის ბიუჯეტში „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების“ პროგრამით გათვალისწინებული შემოსულობები გაიზარდოს 1 700 000 ლარით, ხოლო გადასახდელებში გაიწეროს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით „არაფინანსური აქტივების“ ზრდის მუხლის „არასაცხოვრებელი შენობების“ პუნქტში;

4. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების ხელშეკრულებებისა და ხარჯთაღრიცხვების თანახმად, სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ექვემდებარება გაზრდას 2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთით 1 386 344 ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდელებში გაიწეროს „სამეცნიერო-კვლევითი გრანტების დაფინანსების პროგრამით“, წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად.

ასევე განსახორციელებელია ცვლილება სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტებისა და შესაბამისად ნაერთი ბიუჯეტის „სამეცნიერო-კვლევითი გრანტების დაფინანსების პროგრამის“ ხარჯთაღრიცხვებში, კერძოდ:

4.1 სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის №217164 გრანტის (ხელმძღვანელი თ. ეთერაშვილი) „საკანცელარო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის ხარჯებიდან“ – 100 ლარი; „ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯებიდან“ – 600 ლარი; „მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების / დემონტაჟის ხარჯიდან“ – 670 ლარი; „საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯიდან“ – 820 ლარი; „წარმომადგენლობითი ხარჯიდან“ – 940 ლარი; „სამეცნიერო ხარჯებიდან“ – 710 ლარი; „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის“ პუნქტიდან – 840 ლარი; „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ პუნქტიდან – 270 ლარი; „კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფის“ პუნქტიდან – 100 ლარი, სულ 5 050 ლარი გადატანილ იქნეს „მივლინების“ ხარჯებში;

4.2 სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის FR/116/5-100/14; FR/148/2-101/14; FR/312/4-150/14; FR/139/9-151/14; FR/45/4-101/14; FR/3/9-190/14; FR/35/9-120/14; FR/88/9-220/14; DI/16/4-140/14; DI/14/3-109/14 გრანტებში ძირითადი პერსონალისათვის განსაზღვრული „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლიდან

291 160 ლარი გადატანილ იქნეს „სხვა ხარჯების“ მუხლის „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ პუნქტში.

5. საერთაშორისო საგრანტო პროექტების ხელშეკრულებებისა და ხარჯთაღრიცხვების თანახმად, სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის „საერთაშორისო გრანტების“ გრაფა ექვემდებარება გაზრდას 117 287 ლარით, საიდანაც საერთაშორისო საგრანტო პროექტი №543904 „TEMPUS“-ის (ხელმძღვანელი ს. დადუნაშვილი) მოცულობა შეადგენს 2 671 ლარს; საერთაშორისო საგრანტო პროექტი №573965-„ERASMUS+2016-3765/001-001-ის (ხელმძღვანელი ო. ზუმბურიძე) მოცულობა – 84 917 ლარს; საერთაშორისო საგრანტო პროექტი №543868-„TEMPUS“-ის (ხელმძღვანელი ო. ზუმბურიძე) – 11 984 ლარს; №იGARN#609531-ის (ხელმძღვანელი ზ. გასიტაშვილი) – 17 715 ლარს, ხოლო გადასახდელეებში გაიწეროს „სამეცნიერო-კვლევითი გრანტების დაფინანსების პროგრამით“, წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად;

6. საერთაშორისო საგრანტო პროექტების ხელშეკრულებებისა და ხარჯთაღრიცხვების თანახმად, სტუ წარმოადგენს თანადაფინანსებელ ორგანიზაციას, რომელთა თანადაფინანსების თანხები გათვალისწინებულია ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ხარჯთაღრიცხვის სხვადასხვა მუხლებში. საერთაშორისო საგრანტო პროექტის №544191 „TEMPUS“-ის (ხელმძღვანელი ი. მოსაშვილი) თანადაფინანსებისათვის გათვალისწინებულ თანხებში განსახორციელებელია ცვლილება, კერძოდ: „წარმომადგენლობითი ხარჯებიდან“ 1 119 ლარი გადატანილ იქნეს „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში;

7. საერთაშორისო საგრანტო პროექტებისა და შესაბამისად ნაერთი ბიუჯეტის „სამეცნიერო-კვლევითი გრანტების დაფინანსების პროგრამის“ ხარჯთაღრიცხვაში განხორციელდეს ცვლილებები, კერძოდ:

7.1 საერთაშორისო საგრანტო პროექტი №544191 „TEMPUS“-ის (ხელმძღვანელი ი. მოსაშვილი) ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში „ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენის და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო (არაპირითადი საქმიანობის) ხარჯებიდან“ 5 269 ლარი და „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლიდან 1 171 ლარი, სულ 6 440 ლარი გადატანილ იქნეს „მივლინების“ მუხლში; ასევე „ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენის და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო (არაპირითადი საქმიანობის) ხარჯებიდან“ 12 250 ლარი გადატანილ იქნეს „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ პუნქტში;

7.2 საერთაშორისო საგრანტო პროექტი №544178 „TEMPUS“-ის (ხელმძღვანელი ნ. ჩაჩავა) ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში „საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის

და თარგმნის მომსახურების ხარჯებიდან“ 1 390 ლარი გადატანილ იქნეს „წარმომადგენლობით ხარჯებში“, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ პუნქტიდან 1 932 ლარი გადატანილ იქნეს „ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენის და ამავე მიზნებთან დაკავშირებულ საგამომცემლო-სასტამბო (არაპირითადი საქმიანობის) ხარჯებში“;

7.3. საერთაშორისო საგრანტო პროექტი №543904 „TEMPUS“-ის (ხელმძღვანელი ს. დადუნაშვილი) ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ პუნქტიდან 2 000 ლარი გადატანილ იქნეს „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში, ხოლო 1 500 ლარი – „მივლინების“ მუხლში, ასევე „რეკლამის ხარჯებიდან 1 000 ლარი და „ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენის და ამავე მიზნებთან დაკავშირებულ საგამომცემლო-სასტამბო (არაპირითადი საქმიანობის) ხარჯებიდან 808 ლარი, სულ 1 808 ლარი, გადატანილ იქნეს „მივლინების“ მუხლში;

7.4. საერთაშორისო საგრანტო პროექტი №561555 „EPP-1-2015“-ის (ხელმძღვანელი მ. ხურციძე) ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში „მივლინების“ ხარჯებიდან 3 080 ლარი გადატანილ იქნეს „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში.

8. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში იჯარიდან მიღებული შემოსავლის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ პუნქტიდან 5 000 ლარი გადატანილ იქნეს „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების“ მუხლის „საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯების“ პუნქტში, ხოლო 5 000 ლარი – „მიმდინარე რემონტის, ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის, სათადარიგო ნაწილების, მცირეფასიანი ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შეძენის ხარჯში“;

9. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 1-ელი თებერვლის №134 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის – „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ ფარგლებში განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 27 აპრილის №376 ბრძანებით გამოყოფილმა დამატებითმა დაფინანსებამ „სუბსიდიების“ მუხლში შეადგინა 36 710 ლარი.

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 19 მაისის №470 ბრძანებით გამოყოფილმა დამატებითმა დაფინანსებამ „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში შეადგინა 176 691 ლარი, ასევე განხორციელდა გეოეკოლოგიის მონიტორინგის განყოფილების გეგმის ცვლილება, კერძოდ: „სუბსიდიების“ მუხლის 2 900 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი და ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 20 ივნისის №MES 7 17 00698098 წერილისა და 2017 წლის 22 ივნისის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების №678 ცნობის საფუძველზე, საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სუბსიდიების“ მუხლიდან 1 100 ლარი გადატანილ იქნა „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების“ მუხლში.

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 2017 წლის 1-ელი თებერვლის №09-1/62/16 ხელშეკრულებაზე განხორციელდა ცვლილება, 2017 წლის 25 მაისის №09-1/62/153 შეთანხმების სახით. აღნიშნულიდან გამომდინარე, „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მთლიანმა დაფინანსებამ შეადგინა 5 042 151 ლარი და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბიუჯეტები ჩამოყალიბდა შემდეგი სახით, რომელთაც წარმოგიდგენთ დასამტკიცებლად:

9.1. ბიოტექნოლოგიის ცენტრის ასიგნება განისაზღვრა 197 200 ლარით, მ.შ. ხარჯები – 179 350 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა – 17 850 ლარით;

9.2. ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ასიგნება განისაზღვრა 555 000 ლარით, მ.შ. ხარჯები – 549 600 ლარით; არაფინანსური აქტივების ზრდა – 5 400 ლარით.

9.3. გეოეკოლოგიური მონიტორინგის განყოფილების ასიგნება განისაზღვრა 27 100 ლარით; მ.შ. ხარჯები – 24 200 ლარით; არაფინანსური აქტივების ზრდა – 2 900 ლარით;

9.4. ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის ასიგნება განისაზღვრა 238 700 ლარით, მ.შ. ხარჯები – 179 900 ლარით; არაფინანსური აქტივების ზრდა – 58 800 ლარით;

9.5. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ასიგნება განისაზღვრა 465 100 ლარით; მ.შ. ხარჯები – 450 100 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა – 15 000 ლარით;

9.6. ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ასიგნება განისაზღვრა 1 097 210 ლარით, რომელიც მთლიანად ხარჯებშია გაწერილი;

9.7. ნაგებობების სპეციალური სასტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ასიგნება განისაზღვრა 466 300 ლარით, მ.შ. ხარჯები – 460 600 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა – 5 700 ლარით;

9.8. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის ასიგნება განისაზღვრა 225 600 ლარით, რომელიც მთლიანად ხარჯებშია გაწერილი;

9.9. სენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის ასიგნება განისაზღვრა 43 700 ლარით; მ.შ. ხარჯები – 37 200 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა – 6 500 ლარით;

9.10. ინსტიტუტის „ტალღა“ ასიგნება განისაზღვრა 95 730 ლარით, მ.შ. ხარჯები – 93 800 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა – 1 930 ლარით;

9.11. ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ასიგნება განისაზღვრა 488 000 ლარით; მ.შ. ხარჯები – 448 500 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა – 39 500 ლარით;

9.12. კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასიგნება განისაზღვრა 236 240 ლარით, მ.შ. ხარჯები – 230 800 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა – 5 440 ლარით;

9.13. მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის ასიგნება განისაზღვრა 80 300 ლარით, რომელიც მთლიანად ხარჯებშია გაწერილი;

9.14. არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის ასიგნება განისაზღვრა 458 100 ლარით, მ.შ. ხარჯები – 445 100 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა – 13 000 ლარით;

9.15. ინსტიტუტის „ტექინფორმი“ ასიგნება განისაზღვრა 256 181 ლარით, მ.შ. ხარჯები – 250 900 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა – 5 281 ლარით;

9.16 კვანტური ფიზიკისა და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტის ასიგნება განისაზღვრა 111 690 ლარით, მ.შ. ხარჯები – 109 400 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა – 2 290 ლარით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს  
2017 წლის 28 ივნისის №28 სხდომის მიერ  
გამოკითხვის წესით მიღებული

**d a d g e n i l e b a №2**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარუდგინა საკითხი საბიბლიოთეკო გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დაექვემდებაროს ჩამოწერას არამოთხოვნად და სასაწავლო პროგრამებთან შეუსაბამო 1 514 005 ლარის 457 310 საბიბლიოთეკო ერთეულის ჩამოწერა, როგორც მაკულატურა.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე